

ს რ ი ბ ა

ო რ კ ვ ი რ ე უ ლ ი ს ა მ ხ ა ბ ვ რ ო - ს ა ლ ი ბ რ ა ბ უ რ ო შ უ რ ა ლ ი

განცხადების ტარიფი:

ხელის მოწერა:

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის პრ. № 22.

ერთი გვერდი 150 ჰ.
ნახევარი გვერდი 75 ჰ.
მოსთესვი გვერდი 50 ჰ.

ერთი წლით 10 ჰან.
სამი თვით 3 " "
ცალკე ნომერი ყველგან . . . 50 კ.

კონტარის მისამართი:
განათლების სახ. კომისარიატი, სახელ-
გამო. ლორის-მელიქის ქ. № 5.
მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.

№ 18

380 აბა, 21 სექტემბერი 1924 წ.

№ 18



რიყის ბაყები. ნახ. შალვა მამალაძის.



კუ ლომის სიკვდილი

მაროკოში. აფრიკაში.

ხვალი ლომი მსხვილი ჯაჭვით ეხა საიდის სახლის დიდ კარებთან. თვითან საიდის ხელით იყო დაბმული იგი. ძე ხორციელი სხვა ვინ

ვაპხედავდა მის მიკარებებს!

საიღმა თვითან დაიჭირა იგი პატარა ლეკვი.

ეს იყო სწორედ ხუთი წლის წინედ:

საიდი სტუმრათ იყო მეზობელ ტომის ძველ სარდალთან. იქ ახლად განიფორეს უტვიც ფიცი, რომ იბრძოლონ სასტიკად ფრანგების წინაღმდეგ. იბრძოლონ ისევე შმაგათ—როგორც გამწარებული ძე ლომი თავის ლეკვების დასახსნელათ.

არ შურვიდგენ ვიაურ ფრანგების მუხანათობას—როგორც უღაბნოში მოთარგმე ხვალი ლომი არ შურვიდგება რკინის გალიას.

და ამ ურყევი ფიცის შემდეგ რა ბრუნდებოდა ქარავანით საიდი სახლში, ტიდიკელის ოახისზე გადმოიარა. იქ ერთი მშვიტი ძე ლომი დეცა იმის აქლემებს. სასტიკი ბრძოლა შეუხედა მთელ რაზმს.

თვითან საიდი თეთრ აქლემიდან ძირს დასცა. ლომმა ვეკაცაურ თემოდან ბლუჯა ხორცი ამოაგლიჯა.

მაგრამ ბოლოს მაინც წაუხდა ლომს უღაბური ნახტომი. ზედიზედ ნასროლმა ტყვიამ სასიკვდილოდ მოკცეთა იგი და უკანასკნელათ საიდის მახვილ ქვეშ დალია სულღი.

შიშით დამფრთხალი პატარა ლეკვი მიძუნძულებდა შორს.

დაეწიენ. დაიჭირეს.

ძე ლომს კი საიღმა გაჰხადა ტყავი.

გაუპო მკერდი. ამოღარდა თბილ-თბილი ჯიგარი. ხელდახელ შეტარაწა მწვადი და გულს ლომისას თვით საიდი შეექცა.

მწვადს ზედ დააყოლა მადიანათ ერთი ჯამი სისხლი ლომისა.

— ოო! ყოველი მაროკოელის სიცოცხლეს ეციოვება სისხლი ლომისა და გული ლომისა, რომ გაუძლონ განხეცებულ შემოსევას ფრანგებისას მათ ქვეყანაში.

ორი ლომის მეგობრობა.

მშვიდობით დაბრუნდა საიდი თავის სახლში.

უხაროდა ნადავლი: ძე ლომას ტყავი და მისი ლეკვი.

ტყავი ლეგობათ გაიხადა მთელი წლების განმავლობაში, თვით ლომი კი—სათამაშო მეგობრათ.

ლომის ლეკვი ხვალი გამოიდგა.

თვით საიღმა იქისრა იმისი გაზარდა:

უფლიდა კარგი შვილივით. ხელზე შეიჩვია. მის თვალწინ იზრდებოდა.

როცა მარტო იყო თავის ჭერდაბალ დარბაზში, ლომი მუდამ ამგებულად ჰყავდა. მას აღარ ეწონოდა მისი ტორების, მისი გაალმასებული თეთრი კბილების.

მოჰხვევდა ხელს სკლად აყრილ ფეფარზე და უხაროდა ლომის ასეთი მეგობრობა.

ამაყობდა ლომთან ასეთის მეგობრობით მთელი ქვეყნის წინაშე, თუმცა ქვეყანა არ ჰხედავდა ამ დაუფერებელ მეგობრობას ლომისას და იმ ლომკაცისას.

ლომსაც არ ეწონოდა საიდისა. მას შეეჩვია და შეეყვარა.

მხოლოდ საიდის ხელის ლეკვამზე გაიზარდა იგი.

ორი წლის შემდეგ ის ლომთა ჯოგში გამოსაჩრქვე ნადირათ იქცა.

წითლათ დაბარწული ბეწვი ბზინვით გადაჰკრდა მის მოქნილ წელს. სქელზედ სქელი ფაფარი ზედ თავზედ ჰქონდა წამოყვილი იერიშვით. ოთხ-კუთხა პირს რომ გააღებდა—ცუცხლ-მოდებულ გრკვინვის ეულკანს წარმოადგენდა.

იმის ზურგზე სხვისი ხელი არ გადასმულა.

საიღმა მხოლოდ თავისთვის დაეგუწა იგი. სხვეწისთვის კი ლომი იყო ისევ მზეცი—სახარელი, სისხლის მსმელი, შეუპოვარი.

იგი რომ ყალბზე უსდგებოდა, საიდი მასთან ბავშვით სჩანდა.

მაგრამ საიდს არ ეწონოდა თავისი ლომის. ამის დასამტკიცებლათ რამდენჯერ გაულენდა ხახს და შვგ ჩაუფლენდა თავის ცოცხალ თავს.

აღბათ ამ დროს ფეკრობდა იგი:

— ისევ შეშაპოს ლომმა ვეკაცია—ის მირჩენია, ვიდრე მომიდნოს რომელიმე ფრანგის წუწურბა ტყვიამო! და როცა საიდი შინ არ იყო, მაშინ კი დიდ კარებთან ევა ის ხვალი ლომი და ამშვენებდა მის სასახლეს მთელ ივიდიანის მცხოვრებთა თვალში.

უბანი ბრძოლა.

საიდი ბუღალი იყო ივიდიანის მხარეში განიწულ არაბებისას.

მათმა გალაღებულმა და ამაყმა ბუნებამ ვერ შეიფერა მკერბოვლობა მსუნაგი ფრანგებისას. მართალია მტერი დიდი ხანია შემოქრა მათ ქვეყანაში, მაგრამ ფეხი კი ვერ მოიკიდა. მცხოვრებლები პირველი დღიდანვე ჩაებნენ სასტიკ მტერთან სასტიკ ბრძოლაში.

მათ ვერ აშინებს ვერც სიმრავლე, ვერც, სიძლიერე საფრანგეთისა.

მათი კაიანი თოფები არ ეპოებიან ფრანგების ტყვიის მფრქვეველებს.

მათი აქლემების ქარავანი არ გაუბობს ფრანგების ჯაგეშინან აეტომობილებს და ჰაეროპლანებს.

თვითან მშვიდობა დაკარგული—სიცოცხლეს უმწარებენ თავხედურათ შემოჭრილ მტერს და ანანებენ ყოველ ნაბიჯს—მათ უღაბნოში გადაღამულს.

დამორჩილებას არაიენ ფეკრობს, ბრძოლას კი—სულ



ყველა. და ასე ზეიადათ ამხედრებულ ხალხს მეთაურობს გმირი საიდი.

საიდი თვითან არის პირველი მებრძოლი: მამაცა, სასტიკი, შეუპოვარი. ჟუკარს თარეში ნუბიიდან მოძღვენოლ აზაბულ შავ ტაიკით უდაბნოში მომწყვედულ ფრანგის რაზმებზე.

იშვიათად მოსცდენია თავის ლომური ნახტომი მიზანში ამოღებულ მტრის რაზმზე.

ყოველი ბრძოლიდან იგი ბრუნდებოდა სამხედრო ნადავლით: ტყვეებით და იარაღით.

იარაღს ხმარობდენ ბრძოლაში, ტყვეებს კი ჰხოცავდენ უდაბნოში.

ასეთი ქცევა ისწავლეს თვით ფრანგებისგან.

საიდს უთვალავ ბრძოლის კორიანტელში გაუფლია, მაგრამ ჯერ არცერთი ტყვეა არ მოხვედრია არცერთი ჭრილობა არ მიუღია. და იგი იდიშის მებრძოლთა შორის ზღაპრული ხმებიც დაიდს:

— საიდს ტყვეა არ ეკარება. იგი შეულოცილა განგებისაგანო;

და რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდენ მის ნამდვილ მოწოდებაში სარდლობისა და ბეადლობისთვის.

მაგრამ საიდი ნამდვილ საზღაპრო გმირათ გარდიქა ლომის შემდეგ.

როცა გაიგეს, რომ საიდს სახლში ლომი ჰყავს მიჩვეული ეალერსება, ეთამაშება თავისუფლად. მეგობრულათ იხვევა მის მღელვარე ფეფარს და შუთითი ნადირიც დაეგრილ მურთასავით ულოკავს ხელგებსო, ათასი ხმები გაერეულა საიდის გმირობაზე.

მიელ ხალხს მოვიდა ლეგენდური თქმულებანი საიდის რანდობაზე და იგი გარდიქა უსაყვარელეს სარდლათ მიელი მხარისთვის.

ყველას სჯეროდა საიდის უძვეველობა. საკმარისი იყო ერთი მისი მოწოდება და მთელი მებრძოლი ხალხი ფეხზე დგებოდა.

იგიც წინ მიუძლოდა. იბრძოდა, თავზარს სცემდა ფრანგის ჯარებს. და ვაკეკურ იერიშით წაქეზებულნი ისეც მზათ იყვენ ახალ ეცხებურ თარეშობისთვის.

—

ფრანგის სარდლობა კარგათ ჰხედავდა საიდის ძალას. ამიტომ ძვირადაც აფასებდა იმის თავს ან ცოცხალს, ან მკედარს.

ასე გრძელდება წლით წლობამდის სასტიკი ბრძოლა.

ერთი არ ფიქრობს უკან დახევის, მეორე კი—და მორჩილებას.

სად გადასწყდება ბედი ბრძოლისა? ვინ, გამიმარჯვებს.

მტრითა სისასტიკით.

აფრიკულ უდაბნოს არაბები და ბერბერთა მებრძოლი ტომები ფრანგებისაგან სწავლობდენ ეველურობასა და სისასტიკეს.

ფრანგები არ ცნობდენ მაროკოელებს უფლება მოსილ მებრძოლ მხარედ. ამიტომ არ იწოდებდენ მათ სახლკარს, მათ დოვლათს, მათ ტყვეებს.



მ. შორესი. მსოფლიო იმპერიალიზმის მსხვერპლი.

განსაკუთრებით ტყვეებზე აშკარადებოდა მათი მხეცობა:

ჩაუფარდებოდათ თუ არა ვინმე ხელში, მაშინათვე მოჰკვეთდენ თავს, წამოაგებდენ მარგილზე და ჩამომწყვრივებდენ თავსანი სანჯერების წინ.

ამითი აშინებდენ მოწინააღმდეგეს, რომ აღარ გაებედა ბრძოლა.

მაგრამ მაროკოელები უფრო გააღმსებით ეკვეთებოდენ და ბრძოლაში სიკდილს არჩეიდენ—ცოცხალად ტყვეთ ჩავარდნას.

თანაც ფრანგებისაგან კარგათ ისწავლეს დაუზოგაობა.

მოხვედებოდათ თუ არა ვინმე ტყვეთ—მეორე დღესევე მოჰკვეთდენ თავს და მშვიერ მხეცებს ვადაუფდებდენ მოძულებულ იმის მძორს.

განსაკუთრებულ დახელოვნებითა და სისასტიკით იბრძოდა საიდის რაზმი.

ფრანგები ყოველთვის ვერ ჰხედავდენ მასთან შეხვედრას. მხოლოდ კარგი სამხედრო მზადების შემდეგ თუ მოახერხებდენ ხოლმე მის მხარეში შეჭრას, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდენ დაზარალებულ-დამარცხებულთ.

და თუ თვითან საიდი ითავებდა მათზედ იერიშის მიტანას, ეს ხომ რისხვად მიანდათ ფრანგის რაზმებს. და ვინც ცოცხალად გადაჩეხოდა ამ ბრძოლას—სიცოცხლე ნაყოფით მიანდათ.

მოხმადარი ნახტომი.

ბოლო დროს ბევრი ძალები მოემატენ ფრანგის ჯარებს ჩრდილოეთ აფრიკიდან და ალჟირიდან.

რითაც უნდა დაჯდეს—უნდა გასტეხონ საიდის რაზმების წინაღმდეგობა.
მაგრამ ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ გასტეხვენ თვით საიდს.

მას ვერ მოისყიდინან. ეს ხერხი ბევრჯერ სცადეს. მას უნდა ბრძოლაში დაამარცხოვნ: ან მოკვლან, ან ხელში ჩაივლონ ტყვეთ.

ამისთვის იყო მოწოდებული ახალი ჯარები საფრანგეთისა.

და ამ ჯარებს წინ მიუძღოდა „ლევგონ ეტრანჟეთა“ თავზედ ხელ-აღებული რაზმები.

მოულოდნელი იყო და სწრაფი ეს სამზადისი, რომ საიდს არ შეემჩნია.

წინასწარ უნებლოე შეტაკებაში უკანაც დაიხიეს ფრანგებმა, რომ ღრმათ შეტყუებნათ საიდის რაზმი.

საილიც გათამამდა ჩვეულებრივით მოპოვებული ვაშარჯეები და მიჰყვა ფეხდა-ფეხ დევნილ მტერს.

ვანა ერთხელ და ორჯერ გაქცეულან ფრანგის რაზმების წინ? მაშ ეხლა რაღა გასაკვირი?

მისდევს ჭარიშლოვანი თვის რაზმით და ანანიებს სიცოცხლეს ზურგ-შექცეულ მტრის მხედრობას.

სწორედ ფრანგებსაც ეს უნდოდათ და შერჩეულ დროს აუტყმეს ისეთი ძლიერი სასტიკი ბრძოლა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შეხედროდა საიდს არას დროს.

საიდა იგაძინა საშინელი განსაცდელი და ვაჟაკურის თავგამტეხებით ერთსლა შეეცადა, რომ გასსლტომოდა როგორმე ბრძოლით—მტრისაგან შემორტყმულ ცეცხლის რკალს.

ლომი ლომს ეკვეთებოდა, ფოლადი-ფოლადს, ცეცხლი-ცეცხლს. ვაჟაკი აკვდებოდა თავის დარ ვაჟაკს.

ერთის სიცოცხლე ფსადებოდა მრავალ სიცოცხლეთ და ბედისწერაც დაუწოვავათ ისროდა ისრებს—განკითხულთა კორიანტელში.

ბეკრი დამხო ამ დაუნდობარ შეკვეთებაში. თვითან საიდა ბევრს შეანანა პირისპირ შეხედნა და ბოლოს მაინც რჩეული გმირებით გაეარდა ლომი ფრანგის ჯარიდან.

ბინდობუნდაც ხელი შეუწყო ბედით მოთამაშეს და გადურჩა მუხათ დატებით მტრის რისხვას.

ბრძოლის ველზე კი დარჩა ბეკრი დასანანი ვაჟაკი. ზოგიც ცოცხლათ ჩაიგდეს ხელში ფრანგის ჯარებმა.

მეორე დღეს აღარც ერთ ტყვედ-ქნნილ მაროკველს აღარ ება თავი მხრებზე.

მარგოლზედ წამოგებულნი გასტეკრიდენ გატიალეულ სივრცეს...

სამაგიეროს გადახდა.

საიდის გმირულმა ბუნებამ ვერ შეიფერა ესეთი მარცხი.

შურის ძიება და სამაგიეროს გადახდა—ეს არის უტყბი ფიცი ყოველი გმირბოლისა.

სულ მოკლე ხანში თავი მოუყარა ყველა რაზმებს. ახალ-ახლებიც მიუმატა ძველთა რიცხვს და ველურის მუქარით გაეშვა ლომბული—ავიუტ მტერზე.

ფრანგებს არ ეგონათ თუ საიდი ისე ჩქარა გაიმართებოდა წელში და სამაგიეროსაც გადაუხდოდა. ამიტომ მოულოდნელი იყო მაროკველთა იერიში მათ ბანაკზე.

შუალამის სიმშვიდეში ცეცხლის და მახვილის რისხვით დატყდა საიდი თავზე მოსვენებულ ჯარებს.

მოწინავე რაზმი სულ ამოჯლიდა და მთავარ ჯარებსაც შეურთდა ბრძოლის სიმტიციც.

გაომებულ ნიდირივით ჯოგში ჩამორეულმა არამებმა რამდენი იმსხვებოდა, რამდენს შეინანეს წუთი სოფელი—ვინ დაითვალის!

ბოლოს სახელდახელო ნადავლით და ორასიოდ ტყვეთი გაბრუნდენ უკან.

მეორე დღეს ტყვეების თავები ჩაჰყარეს ტომრებში, აჰკიდეს აქლემებს და გამოგზავნეს ფრანგის ბანაკში.

— ესე იქიან მაროკველებმა სამაგიეროს გადახდა.

ახალი სამზადისი.

მოუნებელი იყო ფრანგებისათვის ასეთი მარცხი. მისმა სარდლობამ გადასწყვიტა, რითაც უნდა დაუჯდეს რესპუბლიკას—უეჭველათ მოსპონ საიდი და მისი რაზმები. უიმისოდ სამხრეთ მაროკვის არ ელრისება დაპრობა და მყუდროება.

სწორეთ ამიტომ გადაწყვეტილი იყო საქმის შორიდან დაწყება:

მუდღენ ლაშქრობის სამზადისი დაპრობილ აფრიკის თიხივე მხარედან. ამ გვარათ შუაში გამოიწყვედდენ საიდის მტერი-რიცხოვან, თავგამეტებულ რაზმს.

ფეხზე დააყენეს აფრიკაში მყოფი ყველა მებრძოლი ძალები: „უცხოელთა ლეგიონი“, სენეგალები, მკიდრი ფრანგები.

არ დაზოგეს ტენიკური ძლევა-მოსილება: ტყვის მფრქვევლები, საველე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები, ჯავშნიანი ავტომობილები და სამხედრო ჰაეროლონები.

საიდაც იცოდა, რომ მისი გამარჯვება სრულადეც არ ნიშნავდა ფრანგების ხელ-აღებით დამარცხებას. იგიც ისვენებდა, მაგრამ თან იჯრებდა ლალს უმანკო ჭიჩორა ბიჭებს და სწერთინდა რაინდულათ, რომ საჭირო წაშში ფოლადს მკვეთრი ისარივით გაეტყურცნა იგინი ფრანგების მრავლორიცხოვან ჯარში.

ბადაშუჰეტი ბრძოლა.

დამთავრდა სამზადისი.

სასტიკის გადაწყვეტილებით გაემართენ ჯარები მოგადორიდან, ელგოლადან, მაროკოდან, ვეიკიდან.

ერთად უნდა შეეყარონ სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახებისათვის საიდის ოაზისთან.

და ერთ განთიადზე მიულის ძალ-ღონით შემოართყეს ბრძოლის რკალი საიდის არე-მარეს.

დაიწყო სამედისწერო შეკვეთება ერთისა ათთან. თავისუფლების ლალ მდინარისა—უძღებ, უძირო ოკენისთან.

აქლემზედ რაინდულათ გამოწყობილი უდაბნო—ორბის ფროსანი ისარივით ეკვეთება ფოლადში ჩამოსხმულ ვერობას.

მუხარადი იღეწება—ჯავშანზე. ხმალი ტყდება—ზარბაზანზე. ლომი აკვდება—მგლების ჯოგს.

ვაჟაკი—ვაჟაკს სპობს. სისხლი-სისხლს ჰღებავს. სიცოცხლე-სიცოცხლს სკვიდლითა ატყევეს.



უმზინო ტყევა—მიზანში სქდება. მოქნეული მახვილი—მარს არა სცდება. დაკვესებული ცეცხლი—ხანძარით იქცევა.

გაპობილი მკერდი, დაწყვეტილი მკლავეები, მოჭრილი თავი, დამსხვრეული იარაღი, ცეცხლი და ნანგრევი, ყოინა, ქუხილი, კვნესა და შეტევა—ერთმანეთში ირევა. გაჭპრა ქვეყანა, ცოლი და შვილი, ზღვა და ხმელეთი.

დაბურული თავი, სასტიკი გული, აბნეული თვალები და მოთარეშე მკლავეები—ჰხედავენ მხოლოდ ერთს: — თუ არ მოჭალი—თვითან მოკვები!

— თუ არ გაიმარჯვე—გელის სამარე! დაიბნა, დაყრუვდა ცეცხლ-მოდებულო, დამათვრალი სივრცე. ვაჟკაცის გულივით ზანზარებს გარემო და ჰქუხს უღანოც დამფრთხალი ლომივით.

ამ ცეცხლისა და ფოლადის, სულისა და მკვლევის დაუზოგავ კორიანტელში გადასწყდა ბედი საიდის გმირობისა.

ლომ-გულელებისაგან შემდგარი მისი რაზმი უმეტეს ნაწილათ ბრძოლაში ამოივლიდა. მცირედმა ჯგუფმა კი ვაჟკაცურის თარეშით გაიშო გზა სამხრეთისაკენ.

თვითან საიდი კი ბრძოლის ქარტეხილიდან უღენ-

საიდს ეკითხებიან:

— რათ დახოცე ტყვეები?

— დაუნდობლობა თქვენგან ვისწყალებო.

— თქვენ რა ღირსი ხართ ველურებო, რომ ფრანგის ჯარის-კაცს თავი მოჰკვეთოთ?

— თქვენ ჯარის-კაცებს რომ შესძლებოდათ გაცოცხლებათ, თვითოეულ მათგანს ხუთჯერ გავადგებინებდი თავს.

— რათა ველურო?

— თვითოეულ მაროკველი მებრძოლის თავი ხუთ ფრანგის სიცოცხლეთ არის დაფასებული. ჩვენ ანგარიშში ევრი ფრანგის თავი გვაკლია კიდევ.

— სად არის კოლონელი დიუბრე?

— პირველათ მას მოკვეთე თავი.


— იქ ვერა ენახეთ.

— დაჭრილი იყო, სახე შეშლილი და ვერ იცნობდით.

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, შენც შეგარჩებოდა სიცოცხლე.

— განა ისე ცოტა მიბრძოლია თქვენს წინააღმდეგ რომ სიცოცხლის შერჩენის იმედი კიდე მქონოდა?

— შენ კიდევ შეგიძლიან გადარჩე სიკვდილს..



ღვინის ურემი. ნახ. ა. ნადარევილისა.

ბელათ გადარჩენილი ტყვეთ ჩაუვარდა გამარჯვებულ მტერს.

ფრანგებმა დაარბიეს მთელი ოაზისი, აღგავეს ყველას სახლ-კარი და საიდთან ერთად ტყვედ წაიყვანეს მისი ხვალი ლომიც.

— პარიზის ზოოლოგიურ ბაღს მოუხდებდა ნადავლათ წამოყვანილი ხვალი ლომი აფრიკის უდაბნოებიდან!

ორი ლომის დატყვევება.

მოქანტულ ლაშქარს შესვენება ეჭირებოდა, ამიტომ იმ ღამეს ალაგობრივ დაისადგურეს.

მხოლოდ საიდის სახლი გადურჩა სრულ განადგურებას და ფრანგის სარდლობაც იქ დაბინავდა.

— რა ფასად.

— გამოაცხადე, რომ ემორჩილები საფრანგეთის ძლიერებს და შენმა გაბნეულმა რაზმებმაც შესწყვიტონ ბრძოლა.

— მაროკველები მე მემორჩილებიან მხოლოდ ბრძოლაში და არა ფრანგებისადმი დამონებაში. ჩემს მოწოდებას ახალი ბრძოლისთვის ყველა გაიკებს, იარაღის დასაყრდელად კი არაეინ, არავის!

— მაშ ალარ გინდა სიცოცხლე?

— თუ კი დაგცემიან გადარჩენილი ჩემი რაზმები და გამანათვისებლებენ, ან ეიხლებენ დროს და მე თვითონ გაგაქვით, მაშინ კი მინდა სიცოცხლე, რომ ახალად გებრძოლოთ თავგამეტებით, სასიკვდილოთ..



- მიიღებ შესაფერ ჯილდოს შენ დაუგეშაობისთვის!
- თქვენგან სხვა წყალობას არც ველოდები!
- ამაღალ იფიქრე კიდევ. დილაზე კი გადაწყდება შენი ბედი სამარადისოდ.
- ესლავე შეგიძლიათ მომხადლოთ ვალი! დილაზეც საიდს—საიდით ნახავთ!
- მაინც დილაშდის დაგადაცლით კიდევ! ეგებ შესცვალო შენი ველური ჯიუტობა!
- საიდი წაყვანეს და ჩაჰკეტეს ერთ დარბაზში. იქავე იყო გალიაში გამოწყვედილი მისი ხვაიდი ლომიც.

ღ რ ი ლ ო მ ის მ ა რ ა ტ ო მ ა ბ ა .

საიდის მაღალ გალავნიან ეზოში დაბინადვან ღამის სათვეათ მკვიდრი ფრანგები.
 რამდენი იყვენ იქ? ასი, ორასი, სამასი? არავის დაუთვლია.
 მთავარი ლაშქრის დანარჩენი ნაწილები კი ეზოს გარეთ იყვენ შემოშკრივებული.
 გაღიერ გალავანზე დადიან დარაჯები.
 საიდის კარებსაც უყენია საკუთარი დარაჯი.
 ღამის ქაში გაიდის მძიმეთ, უანგარიშოთ, ბოღმიანთ.

საიდს რა დააძინებს!
 მშუთარე იმისი სული აღმოსავლეთუო დინჯ ნაბიჯებში ჩაბორკილა და ისე დადის კუთხიდან კუთხეში...
 კუთხიდან კუთხეში.

შეგერი ლომიც. ვერ არის მოსვენებული თავის რკინის გალიაში და იგიც დადის მოუყენარად კუთხიდან კუთხეში.

ხან და ხან შეჩერდება. შეპხედავს იგი მღუმარე საიდს და ვერ გაუგია-რა მოხდა იმის ვარშემო?
 რათ იყო დილიდან საღამომდის ისეთი საზარელი კეკა-ქუხილი, როცა იგი გრგვინავდა, ჰკენეტავდა თავის ჯაშვს, მაგრამ ვერ დაეწყვიტა? (საიდის ფოლადის ხელს ისე მკვიდრათ დაება იგი.)

ან ეხლა რათ არის მოუსაფარად რკინის ჩაშავებულ გალიაში?

რატომ არ გაუღებს საიდი კარებს? რატომ არ ეხვევა და არა ჰკოცნის?

რატომ არ აუხსნის საიდულეობას დღისა და ღამისას?

რათ არის თვითან საიდი უცხო, ცივი, მიუსაკარო? თვითან საიდიც შეჩერდა ხამუხ-ხამუხით და უქცე-რის თავის ღამაზ ღამს.

და რას ფიქრობს ლომი ღომზე?—რა გაიგებს მათ გულის მეტი? რა გაიგებს უდაბნოს მეტი? დადიან. სღუმან.

იჩენცებთან.

არ ჩერდებიან.

ასე ატარებს ორი ტყვე ლომი ღამის წყევას, მის სიბრჭქეშს.

ჰკითხეთ საიდს.
 — ორ ღამში რომელი უფრო ბედნარია?—იხ, რომელიც გათენებინას დალევს სულს ფრანგის მახვილ ქვეშ, თუ ის—რომელიც მთელი სიცოცხლით ტყვეთ იქნება საფრანგეთში?

მაგრამ ვუვსძას პასუხი:
 — ლომს—ღამის ბედი ვერ შეხარბდება!

ღ რ ო მ ა მ ის ბ ო ლ ო .

უპვე განთიადი შემოგებარა სუსხიანათ—არე-მარეს. საიდი დაილალა და ამოცანიოთ მისჩრებნა თავის ლომს.

ლომიც მოქნილაოთ დადის. გავლით შეხედავს საიდს. თითქოს ყოველ ნაბიჯში ეძებს რალაცა ვაშლილ ნახტომს და რა შეეჯახება რკინის კუთხეს—ყალყზე შემდგარი უკანვე ხტება.

საიდის სახეზე გაბრწყინდა რალაცა გადაწყვეტილება.

თანაც უნდა გამოეშვიდობოს თავის ლომს. ასწია კარი რკინის გალიას.

შეიერი ლომი გამოხტა მარდათ და მორთო სირბილი ცალიერ დარბაზში.

საიდმა დაიჭირა. მიულუქტა. მოეხვია.

დიდხანს უტყვია დანის პირად ჩაწურულ თვალბეშში. მერე თავის მხრებზე აყალყულ ლომს გაუღო ხახა და ჩაულთ თავი შიგ.

— ღომმა შესტამოს—ურჩენია, ვიდრე ფრანგის ვერავმა ტყვიამ მოუღოს ბოლო.

მაგრამ ღომი ხმას არა სცემს.

საიდი გაავდებს თავისგან ღომს. მოიხდის ქუდს და იმითი დაუწყებს დენვას გახელებულ ნადირს.

უნდა—გალიხიანოს, თავი შეაქვამოს, იმიტომ სდენის ისე ვაშვადებოთ, ისე ჯიუტათ, ისე უშიშრათ...

ლომი კი ზარ-დაცემული საიდის გამბედაობით შეძრწუნებული დახტის კედლიდან კედლისკენ და სკეჭავს, გრგვინავს თევამეტებით.

მის ქვეა-გრგვინავსთან ზანზარებს სახლ-კარიც, ზანზარებს გული და განთიადიც.

საიდი დაითრო თავის ძლიერებით და უფრო ახელებს უდაბურ ნადირს.

დასდევს, დაჰკივის, აფრთხობს...

შეზინებული ნადირიც გააფთრებით დახტის კუთხიდან კუთხეში და მისი გრგვინავც არყვეს ყველაფერს მთელს ვარემოში.

დარაჯი შეშოფთავდა:
 — რა ამბავია საიდის დარბაზში?

გაალებს კარებს, რომ გაიგოს რა ხდება იქ და უეცრივ შეტრობაღდება მთელი ქვეყანა.

თავ-აწყვეტილი ღომი ეღვის სიმკვეთრით ეძგერება მას და თავ გავლუჯილს ძირს დაანარცხებს.

სისხლ-გაღებულ ნადირი უფრო გამხეცდა იალადის დანახეზე და ასხლეტილ ისარივით გადაეშვა ძირს ეზოში.

ასეთ ნადავლს კი არ ელოდა დამფრთხალი ღომი, იგი ეშვება პირველ მსხვერპლს.

მეორეს.
 მესამეს.

გადაიბრა ნადირი მძორების გლეჯაში. უფრო დაითრო სისხლი მორავში და შეერია ხალხის ჯოგს საშინელ რისხვასავით.

საიდი თან გამოჰყვა შედგა მაღალ გალავანზე და იქიდან სცემს თავის ღომს გადამრეც ყიყინას:

— ეგრე ღომო!

— გენაცვალე გიე ფაფარში!



- დაგლიჯე ყველა!
 - არავინ გაუშვა!
 - იყარე ჯაფრი!
 - აბა შენ იცი!
 - გიყო ლომო!
 - ძლიერო ლომო!
 - ხვადო ლომო!
- ლომი კი დაჰქრის დამფრთხალ ფრანგებში:
ვის მუცელს ღადრავს, ვის თავს უჭეპყავს, ვის კლა-
სა ჰგლეჯავს.
ჰყენესიან, ყვირიან, ვარბიან.
ერთმანეთში ირევიან, ეცემიან. იღუპებიან.
თბილ სისხლით, წითელ სისხლით, უხვი სისხლით
გარეული ლომი კი უფრო მეტის სიმკვეთრით, მეტის სიმ-
კაცრით ემგებება ათსა და ას მსხვერპლს.
ასეთი თარეში, ასეთი დღესასწაული ჯერ არ შეხ-
ვედრია მას მთელ სიცოცხლეში.
ამ კენესა-ვაგლახში, საზარელ გოდებაში მაინც ფო-
ლადის ზარივით გაისმის საიდის ყვირანი:
— ეგრე ლომო!
— ჩემო ლომო!
— ყველა დაღადრე!
— ყველას შეიანე აქ შემოქრა!
— არავინ დაზოგო!
— დაღიე სისხლი!
— თბილი სისხლი!
— ფრანგის სისხლი!
— გენაცვალე ლომო!
— ხვადო ლომო!
— საერთო ზარ-დაცემის შემდეგ უკვე ვილაყები
გონს მოსულან.

გლაიანის მეორე მხარეს ჩამწკრივებული ჯარის-
კაცები ზედი-ზედ ესვრიან ტყვიებს წითლად მოთარეშე
ლომს.

იგი დაიჭრა კიდევ ბევრგან, ბევრგან, მაგრამ იგი
მაინც დაეღაღეს და ნახტომით ნახტომზე—მსხვერპლს
მსხვერპლზე უმატებს—

დაგლეჯილთა კენესა, შეშინებულთა კივილი, ტყე-
ვის ლაწი-ლუწი, ლომის ბღღნა და საიდის ყვირნი შე-
მაძრწუნებელ ზარსა ჰქმნიან მთელს ოაზისში.

პირველის კრილობებით სულ-გამწარებული ლომი
უფრო გააფთრდა და იმის მსხვერპლსაც აღარ უჩანს სა-
თვალავი.

მაგრამ ზედი-ზედ მიღებული კრილობით მასაც მი-
უწყდა თან და თან.

ბოლოს ტყვეებით დაცხვებული დაემხო და მორთო
ქუხილი. მაგრამ აღარ დასცალდა:

შემდეგმა ტყვიებმა გაულადრეს გული და შუბლი.
სიხარულით გალოთებული საიდი ჩამოხტება ძირს,
მირბის ლომისაგან დაგლეჯილ გეამებზე.

მირბის ლომისაკენ.

მივა და ჩაეხვევა მის წითლად შეღებულ სახეს. მის
სისხლით დამბალ ფაფარს.

ჩაეხვევა ტყვიებით დაცხვებულ მის განიერ მკერდს
და ჰკოცნის თვალებში.

ჰკოცნის ძველებურათ, საიდურათ...

ჰკოცნის მადლობით...

ვაჰკაცურის მადლობით...

ამ დროს რამდენიმე ტყვია საიდსაც მოხვდება.
ზურგში და შეჩერდება მისი სიცოცხლე ლომის ხვეწაში.

ასე მოკვდა:

საიდი ლომი და ხვადი ლომი.

ორი ლომი—

ერთმანეთთან გაფიცული—
სიკვდილ-სიცოცხლით.

ლევ. მებრეველი.



მატეოტის საფლავები.



იტყვიან: „ერთხელ მყინვარმა
 მთებს უხმო თავისთანაო.:
 არ დაჰდგეთ მოუფალეები,
 საქმე მაქვს იმასთანაო“.
 თქმა და — მოჰხეთქა ლაშქარმა.
 ჯერ მსგავსი არა ნახულა:
 სულ ზორბა ბუმბერაზები,
 სულ საუცხოოდ დართულა,
 თითოს ვერ იტევს ცა-მყარი
 იმტოლა აყუღებულა!
 ნეტავი ამათ ღედებსა,
 არგი ჰყოლიათ ძეგები.
 ზოგი ჩაქნად მთები ჰჭურია,
 ფარად უპყრია კლდეები.
 დადგა, დანათდა ირგვლივ
 ზურმუხთ-ალმასის მზეები.
 ერთფურთხედ შეჰდგა ლაშქრისა
 შუბ-მუზარადის ჯორღები!
 ჰდგან ღირსეულად, დიწჯად,
 დაბაბისობით ჰმშვენიან,
 შეჰხედვენ თავის ბატონსა,
 ლალის ბრძანებას ელიან.
 ის კი იქავე მღუმბარედ
 ჰდგას, ნისლი შეუხვევია!
 ბოლოს თვითონვე შეჰქადრეს:
 „რად გვეყებართ მიზეზიანად?
 რადარ რას გვეტყვი, ბატონო,
 რადარა გნახათ მზიანად?
 ჩვენ თუნდ სულ თავებს დავიხოცთ,
 ოღონდ თქვენ გყვანდეთ სვიანად.“
 თითქო ვერ შეჰწვდა მყინვარსა
 ნათქვამი მხურვალეებითა;
 იდგა ზე აუხედავი,
 მოკლული მღუმბარებითა:
 მეგრე ლა სადმე წარმოჰტევა
 შუბლშეკრით, მწუხარებითა:
 „მე ის მაწუხებს, ვეებო,
 ცული მოვიდა დროება.
 მეფის და ტახტის ერთგული,
 ძვირადლა მოიპოვება.
 მეფე რა მეფე ლაა, თუ
 არეინ რას შეაპოვება?
 თუ არ ჰსურსთ, მეფის სახელი
 ძალად რად უნდა ჰზიდოსა?
 მეც ჩამომიყარავ, არ; მინდა,
 წაიღეთ თქვენი იყოსა.
 თუნდ სხვას უკეთესს მიეციო

და თუნდა ისე იდოსა.
 ჩემი ტახტი და გვირგვინი,
 რაც შემძიქნავ მკლავითა,
 მევე დამრება და არცვის
 მიეცემ ცოცხალი თავითა.
 ვინც გეყოლებათ უყიდეთ,
 ან აშოვნინეთ ძალითა.
 „ნეტა რას ჰბრძანებთ, ბატონო“,
 შესძახეს მთებმა მალადა:
 „ერთიც თქვენია, მეორეც
 და უნდა გქონდესთ მარადა.
 ვერცავეინ ნებით წაგიღებთ,
 ვერცეინ ჩამოგყრისთ ძალადა.
 მხოლოდ კი უნდა გვიბრძანოთ,
 ვინა გვაესთ სისხლის მღვრეველი;
 გავიგოთ ერთი, ვინ არის,
 ის ჩვენი შემაირცხვენელი,
 მეფის და სახელმწიფოსი
 მშვიდობის დამრღვეველი?“

მყინვარი.

თრიალეთია.

მთები.

გვიბრძანეთ, რა ჰქნა იმ უთავებიდომა?

მყინვარი.

ისა რომ ხარკის მოცემა
 ან წლიდამ აღარ იწოდომა.

მთები.

რამ ვადარივა იუდა,
 რამ ეშმაკ-ქაჯმა იტომა?

მყინვარი.

მე ეგ არ ვიცი. ამას წინ
 კაცები გაეუზახენია,
 ათას, ათასი ხარ-ცხვარი
 საწლოდ შევეუთალეა.
 იმას არც რამე მიეცა,
 მრავალიც ეცა, ეგინა.
 გამოეყარნეს. ჩემს თავზედ
 მთელი ქვეყანა ეციენა!
 რა მომცა თქვენმა ბისონმა,
 კარგი რა შემაძენინა?
 ის, რომ ერთს ვილაც კაცუნას
 მისხარად ამაგდებინა?



ახ, ერთი იმასი თავი
ხელთ როსმე ჩამავდებინა!

მთები.

ჩვენ ის გვევონა, ბატონო,
რომ დარდი გქონდათ სხვისია.
იმანხელ ხელის გაქნევა
რა თქვენნი საკადრისია?
როცა მავანხელ გავსაჯროთ,
თავი სადლა გყავსთ ყმისია?“
უსხრეს მთებმა და მიზრუნდენ:
სიტყვა არ უხვეგრებიათ;
ქავეციხე თრიალეთისა
წუთსაც ვერ გაჰმავგრებიათ.
ისე ხელდახელ ასწივეს;
ნაღმიც არ მოჰნღომებიათ!
თვით თრიალეთი ცოლშვილით
ღიბატლასით მწვანითა
მოსილი, ხელშია ჰყენდათ
იმვე მოკლე ხანითა
და მყინვარს ხელფეხ შეკრულთ
აახლეს ტახტრეცვანითა.
მყინვარი ჰხედ ეს საქმესა,
გან სიტყვას ცალიერასა.
ჰხედავს ცხვარ-ძროხით საესესა
კლდელრიან დარიღლასა.
ჰხედავს მის ალამ-დროშებმა
თვის ფეხთ წინ დალაგებულსა.
უთავალვ ოქროს და ვერცხლსა,
იქვე დაგროვებულსა.
მაგრამ მას სიამოვნების
ხედ არაა შეეჩნევიდა.
შეყვარებული მზის სხივი
შეჭტრფოდა, შეეღვივოდა.
მაგრამ ის აგრევე ეყუდა:
ღვეგზოს რა მავეროდა!
ცას რისხვით, ხმელეთს სიდიდით,
ნზეს შუქით შაჭტილებოდა
და ღვიძლი შვილიც სიმპლით
მამას ვერ აჭტირებოდა.
ლაშქარი გამჰავებულთ
მეფის ბრძანებას ელოდა.
მან ერაო მიჰხედ, მიჰხვდა,
პირს ზიზლი გადაიფინა
და მკვანხელ უთხრა მოყმეთა,
თითქო გულს რამე იწყინა:
„იქით მომაცათ ცხვარ-ძროხა
და ეს ქვარიეც ყველაო!
სულ თქვენთვის მიბოძებია,
წადით, გაიყავთ ნელ-ო.
მე დამრჩეს ბაირახები
და ვიწრო დარიალაო.
იმ მყეფრის ლეკვიც ერთ-ერთი
მძევლად აქ გამიწორეთა.
სხვა დანარჩენით გაავლეთ,
თვალთ ნუ მაშინჯვიანებთა!“
მთებმაც უარი არა ჰქაქვეს

საჩუქრის მიღებადუკ
და დაბლა თავი დაუქრეს
მეფეს ამ ბრძანებაზედა.
თრიალეთს ვაჟი წაართვეს,
გაჭწირეს მეფის კარზედა.
თვით მას ხელფეხი გაუხსნეს,
გაუშვეს თავის გზაზედა.
ასე უღმერთოდ დამეკრობა
მწირის მგზავის მოღვეა ცეცხლადა.
მარტოლა ღმერთი იფიქრა
თავისუფლების მცველადა.
ცოლშვილი, ვინაც პირველი
გლახა შემოჰხვდა ხელდა,
მას ჩაბარა, თვითონ ღმერთს
ეახლა საიფინელადა.
ზამთარი აყო გამშრალა.
ჰთოვდა. გაღლილ ვწვიმითა.
ხეებზე თეთრი ბარდანი
შუკვილია ვერცხლის მძივითა.
ერთს წუთას ყვეილ-ბალახმა
გამოიხედა ღიმიითა.
ერთს წუთას მთასა და ბარსა
პირი შეუქრა მწვანემა
და უფლის საგალობელი
დაძახა არეზარემა!
ღმერთს დაეგარა მთათ მეფე
თავისთან, არ მასულოყო
და გასარჩევად საქმისა
თვითონ აქ ჩამოსტლიყო:
მთები შეყრილან იმის წინ,
წასულან მძიმე ფიქრშია
და თვითონ მფორე შვილიც
მოსჩანს ჯანდას და ჩრდილშია.
ღმერთმა უბრძანა „მყინვარო,
ემავგრ რადა ჰპერებია?
სხვა ავჯაკობა არ გეყო,
რომ მეც კი მეთრჩებია?

მე-ნვარი

თუ გეუბრჩენით, ურჩობა
მსურდა სახემე გქონოდათ:
როგორც მე თქვენთვის, სხვაც ჩემთვის
ისე ფიქრშია გყოლოდათ.
იმიტომა ვარ ხელშევიფე...

ღმერთი.

იმიტომ არა ჰყლაჰავდე
ავითან კეთილის მქნელსაც
და მათთან არ ჩამატანდე
მეც, თავის შემოქმედსაც.

მყინვარი.

თუ მკითხავთ, კიდევ მაუბნეთ,
თორემ აქ რისთვის გინდოლით?
ვინ დაგიწლიდათ. განაჩენს,
რაც გსურდათ. იმას იტყოდით.
ჰჩანს ჯერ თქვენ არაფრად ავდებთ

თქვენგან ნაბოძებს გვირგვინსა, რომ კაცმა ბევრი ვაჭკელოს ხალხის სულმოკლე წუწუნსა.

ღმერთი.

არა, ყმაწვილო, იგი მე შინთვის არ მიბოძე და, რომ მომცემი იმისა შენ მაგრე დაგვიწყებია; ძალიან კუდად მოგსელოა, კარგად არ ვინებებია. შენ რაღაც ტუტუც ფიქრებით გამოგტენია გონება. და ფეხის ტყლაპად გინახავს ხალხის თავი და ჭინება. კიდევ იმიტომ ჰპარპაშებ, როგორც ზამთარი ქარით და ხალხის საცხოვრებელი წაგიღავს ნიაველგარისა. შენ რომ ჰზიხარ და წამუწუმ იძახი: „მინდა, მინდაო!“ რატომ არ ჰფიქრობ შენგანა ეს კი ალარა უნდაო? შე დალოცვილო, შეთვის რომ სკჷლადაც ოქრო ყოფილა მას ჰური მინც დაუგდე, მითომ მთხოვარა ყოფილა.

მეინვარი.

რადარ მიბრძანებთ, რა ვიცი, რას უჩადი ურიგობასა? მითომ რას ჰნიშნავთ კუდს ჩემში საქმეს თუ ავიპრობასა?

ღმერთი.

ესთქვათ, საქმით მშვიდი კრავი ხარ, სიტყვით—თაფლი და შაქარი; არცა გჭირს ავმუტელობა, არც სხვა მისთანა, რაც არის. მაშ სიმოკლისთვის ეს მითხარ, რა ჰქმენ, რად მოიხმარევი, რაც რომ თრიალეთს ამას წინ წარათვი, მიეპარევი?

მეინვარი.

აღიდებულის მდინარის წყალი წყალმავე დალია, რად მიკითხნებთ მაგასა, თუ თქვენში სამარბათია?

ღმერთი.

თუნდ საცაუნდა ყოფილა ერთხელ წყლის დაღუფლია. მაშ სხვა სალაროს გეღებია, რაც ხარკად აღებულია?

მეინვარი.

მე სალაროში არც რამე მიძეეს, არც რამე მღებია.

ღმერთი.

არც მე მაქვს ცალკე საუნჯე ასალეზ, გასალეზია. მაგრამ ვაჭხედ; მაღლა ცა, დაბლა ხმელი და ზღვებია ამათ სასვებს რომელი საუნჯე შეიღარება? ან უკეთესზედ სიმდიდრე რომელზედ მოიხმარება?

მეინვარი.

მე მახედ მეტი არ მიღაე, რაც მჭირებია ჩემდა. მეფის და იმის ღრსების შნოების შესარჩენდა,

ღმერთი

მუქთახობობას ჯერ მწერის ფლტკრის ჰკვა წინაღუღკება. განალამც ღმერთის და კაცის იმას ვერ შეურვიღებდა. თუ კი მეფობით საქვეწნო სარგო არ აღესრულებია, მაშ ვის რად უნდა; ფუქია იმისი დანიწნულება! არა?—პასუხი. და მეგრე ერთი რამ დაიდგინება.

მეინვარი.

წვიმის მეტს რას იქს ღრუბელი საავდროდ დამზადებული? და სისხლის ვარდა გმირისა ხმალი, ზეამოღებულნი? მაგრამ ერთხელევე ჰჯობია მოხდეს, რაც მოსახდომია. რაღაა შიში და ძრწოლა, როცა ჩართული იმია? რაც ვის ფეხებში გვიფერთი, ჩემთვის ისიცა კმარია. ტყეისა და თავისუფალის ყოფნა რა შესადარია?

ღმერთი.

დიახ, ყმაწვილო, როდესაც შენს სიტყვას ერთი ჰპრობდა, მის უფლებზედ შენი ჰკვა მაშინ რატუარ ჰგონობდა? განა რომ დახმული გქონდა მაშინ გონების თვალბერი და, როს საფრთხეში ჩავარდა შენი, გააღე კარები? ამიტომ ცა და ჰქვეანა ისევ მართუას მებაროს. შენ კი ტახტი და გვირგვინი მეფისა ჩამოგვეყაროს. გული ჰვად ჯიძქეს და თავზედ ყინული გადაგვეყაროს!



იტყვიან, რაწამს მყინვარი
 ღმრთის წყევლით თოვლმა დაჰფარა,
 მთანიც წაჰსვლიან და ყველა
 იმის მოლაღელ გამხდარა!
 ის კი ცა ქვეყნის შუაზედ
 დამდგარა დევემირივითა:
 ჰდას და ერთმანეთს აშორებს
 მურვანის ეკალივითა
 მალმაღე ხშირი ღრუბელი
 ჩამოეხვევა თავზედა.
 ან ჩამოჯდება არწივი,
 გადამაველი ცაზედა.

ან შამოჰყეფნებს ყორანი
 მაგენ, ამაზრუნეს ხმაზედა.
 თერგის, პატიმრის ჩოჩქოლი,
 ბრძოლა, ხმა საყვედურისა,
 ოხრა და კვენსა შვილისა,
 მამაზედ უმადურისა
 ისმის, ჩქრო და ჩქრო ტირილიც
 მრეფინება ყრუვადა.
 მყინვარს კი მითომ არ ესმის,
 არ ივლევს ბაბუთადა.

გ ა ჩ ა ნ ა .

ბაჩანა.

(ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო)

ბაჩანა (ნიკო როზიკაშვილი-ძმა ვაჟაფშაველსი) დ. 1866 წელს, ფშავის სოფელ ჩარგალში მღვდლის პავლეს ოჯახში, მღვდელი პავლე განათლებული და ნიჭიერი ადამიანი იყო, ბაჩანას გარდა ქართულ მწერლობას მან გამოუჩინარდა ვაჟაფშაველა და თ. რაზიკაშვილი.

ღედა გულქანი არა ჩვეულებრივი მოყვარული ადამიანი იყო და მისი სიყვარული ვრცელდებოდა ყველა უმწეო და გაქირებულზე. ამავე დროს ის იყო მოყვარული პოეზიისა და ბუნების, მან არა ნაკლები გავლენა იქონია თავის შვილებზე, რომელთაც არა ჩვეულებრივად გააღმერთეს ქართული ბუნება პოეზიაში.

კერძოდ ბაჩანა დიდის გავლენის ქვეშ იზრდებოდა და მისგანვე ჰქონდა შეყვარებული ხალხური პოეზია.

ბაჩანამ პირველ დაწყებითი სწავლა ჩარგლის სოფლის სკოლაში მიიღო. აქედამ 1880 წელს გადაყვანილ იქნა გორის საოსტატო სემინარიაში, რომელც 1885 წელს დაამთავრა და ამავე წელს მასწავლებლად სოფ. ვეჯინში დაინიშნა. 1890 წელს ზესტურეთში გადავიდა და ბარისახოში მასწავლებლობდა 1900—1918 წლამდის. ფშავეთში მასწავლებლობდა მალაროსკარს და ჩარგალში, 1918—1920 დუშეთის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში ქართულს ასწავლიდა. ამ მოკლე ხანში დიდი პატივისცემა, სიყვარული დაიმსახურა მოწაფეების და ადგილობრივი საზოგადოების, რომელმაც 1918 წელს საიუბილეო საღამოც მოუწყო. 1920 წლიდან ბაჩანა ჯერ სიღლის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში ქართულ



ბაჩანა თავისი ოჯახით.



ენის მასწავლებლად და მერე 1923-4 წლამდის ბოდბის ტექნიკუმსა და პარტსკოლაში. მდგომარე წელს ფილტვების და გულის ავადმყოფობის გამო მასწავლებლობა მიატოვა და სასახურს გარეშე დაიჩინილი, სცხოვრობს სოფ. ქვემოქედში.

ბაჩანას ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსლა 1884-5 წლებს ეკუთვნის. ამ ხანში დაიბეჭდა მისი ლექსები: „ფშაველი ქალის ტირილი“, „ვინათქვა საქართველოზედ“, „ტყვის სამღერა“, „მუხა“, „მოლოდინ-მოლოდინშია“, პირველი მისი მოთხრობა „კოლო“ გაზეთ ივერიაში 1885 წელს დაიბეჭდა.

ბაჩანას ლირიულ ლექსების გარდა ეკუთვნის პოემები: „თაღლაურა“, „ძველი ცოლ-ქმარი“, „ვაჟაკის დარდი“, „კოტი და ჩიტები“, „სიზნარი“, „ღმერთი და სულა“, „სურათები და მოწვევებანი“.

მისი პროზიდან ცნობილია: „ღდის ტირილი“, „კოლო“ „ედიმის უყვადების ყვავილები“, „სიყვარული მთათა

ქალის და ადამიანის“. „მონადირე და ყორნები“. „მოლაღლათ და ადამიანის“. „მეგობრობა“ „ლოპეშქარალა და მამალი“ და სხ.

მიუხედავად ავადმყოფობისა და ღიღი სიღარიბისა, რომელიც მან ყმაწვილობიდანვე განვლო ღღესაც ეწერა გულათ განაგრძობს ლიტერატურულ მუშაობას.

ბოლო ხანებში მან დაამთავრა იუმორისტული მოთხრობა „ციხეში“ და რომანიული პოემა „მთაბარში“, რომელშიც ასახულია გარდასვლილი ხანა რევოლუციის, როგორც მთავრი, ისე მარად.

ბაჩანა ცნობილია აგრეთვე როგორც საუკეთესო საბავშვო მწერალი. ამ შემთხვევაში, როგორც მას ისე, მის ძმებს-ვაჟს და თედო როზიჩაშვილს ბაღალი არ ჰყავთ ქართულ საბავშვო ლიტერატურაში მისი მონაწილეობით დადავლებული ჩვენი საყმაწვილო ჟურნალები: „ნობათი“, „ჯგერელი“, და „ნაკადული“. სადაც ის მათი დაარსების დღიდან თანამშრომლობდა.

ალექსანდრე გლოც.

რ ა ვ ე ნ ნ ა

რაც იყო წუთი, ამაოება,
შენ გაატანე წარსულ დროებებს.
რავენა-ბავშვი! შენ გძინავს ახლა
მარადისობის მკლავებზე, მალა!

აღარ შემოაქვთ რომის კარებში
მღუმარე მონებს მოზაიკები.
ფთხრდება ოქრო სხვა ავღარებში,
სადაც გრილია ბაზილიკები.

სისოელის ხანტი, ყრუ ამბორება
თალებს ატირებს ცრემლთა ზნაიებით.
სარკოფაგების მწვანე ზმორება
შიგ დედოფლები და წმინდანები.

განასვენებელ დარბაზთ კრებულთ: —
ცივია მათი ამაჟი ჩრდილი,
რომ გალღის ცქერა გაღვიძებული
ქვას არ მოეღვას ცეცხლით და სილით.

ზღის მიქცეულის ჰქრება შორი ხმა,
ციხის ჯებირზე-ვირღების რკალი,
თავის კუმბოში თიოდორიხმა
რომ არ ინატროს ყოფნის გრივალი.

სახლი და კაცი, ტვერი ყურძენის
სამარესავით სღუმს უნებურად,
მხოლოდ სპილენძი ლაიბითა ენის
რეჟავს ლოდებზე ისევ მეთურად.

მხოლოდ რავენელ ქალწულ თვალები
კიდევ აფრქვევენ უცხო სინაზეს
და სევედიანი იღუმალებით
კიდევ გლოვობენ გარდასულ ზღვაზე.

სი შოდის ლამით-ლანდი მფლობელი:
მომავალ დროებს თვლის გამაფრთხილი:
დანტეს აჩრდილი ორბის პროფილით,
ახალ სიცოცხლის ბაირახტარია.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

Corespondans.

ახლა, როდესაც ყველაფერი ისე ცხადია,
როგორც რომ ეიწრო მარტობა სისაფლაოზე...

(მე კიდევ მასსოვს ჩემ ხალხზე შენი ცრემლები
და შევედრება გადარჩენის და სსწულის)
მე აღარ მინდა ზამთრის ღღეებს მიეცე ოცნება
განუშვარტებლით.

(მე კიდევ ვფიქრობ შენ ცრემლებზე, პატარა ბავშვი!).

აქამდის მიყვარს შემოდგომის გამოხუნება,
და მოლოდინი უეცარი ზამთრის თაღდასხმის
როს გაიღვიძებ და ფანჯრებში შემოზღვავდება
თეთრი მირაჟის სიმანონია მკაცრი, სპეტაკი.
(მანიც მაკვირებს, როგორც ხედავ, მცირე ამბები,
ასე უბრალო).

და სწორეთ მაშინ, როცა გზები დაითოვება,
—ო, ჭეშმარიტათ სასიკვდილოთ მე ვარ დაქრილი—
და ძველ სივრიდან ამოვაწყობ წარსულის ნიშნებს:
ბავშვობის პერანგს, ისე მოკლეს, ანგელოზის პირველ
საჩუქარს,

მე მოიყვებ, როგორც წინათ ჩემ სულის ამბავს,
(უპანკო ბავშვი. მეოცნებე სასწაულებზე)
და გეტყვი ჩუმათ: „გადარჩენა აღარ არსებობს“.
(მე მაგონდება საშინელება შენი თვალების, გაქვავებ-
ბული).

და ახლა, როცა ყველაფერი ისე ცხადია...
(დაუფიქრარი რომანტიკა შენი სიკვდილის)
და აღარ ვფიქრობ არაფერზე, და აღარც შენზე,
მე გეტყვი ჩუმათ და ღიბილით, და შენ მიხედები
რომ ვარ დაქრილი სასიკვდილოთ. რომ მე ვიბრძობი...
ლაშა საბახთანი.

კოლაუ ნადირაძე.



ალექსანდრე ყაზბეგის გარჯაჟი *).

ოთხმოციან წლებში ვაზთ „დროაბში“, რომელსაც სცემდა სერგეი მესხი, იბეჭდებოდა ფელეტონებად ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა“. მაშინდელი ახალგაზრდობა მოუთმენლად ელოდა ხოლმე ყოველ-დღიური ვაზეთის გამოსვლას და დიდის აღტაცებით ცოხულობდა მას. ყველას უფრო ის უკვირდა, რომ, ალექსანდრე ყიფშიძეს სიტყვით, „ელგუჯას“ ავტორი თავით რედაქციის სადგომში სრულიად მოუმაზღებლოვ-გქსარობტად სწერდა „ელგუჯას“ „დროების“ ფელეტონებში. ეს ფაქტი კარგად იციან ასევე ჩვენი მწერლობის ვეტერანებმა, რომელთაც სიმაართის აღსადგენათ თავისი საბჭოები დაწერილებით უნდა გამოაქვეყნონ და ყაზბეგის სახელის გარემოში შექმნილ კოორდებს ბოლო უნდა მოუღონ.

საკ საქართველოს ეგზარხოსს პალაატის ურჩვედა ენახა ყაზბეგის მისი ძირში გერგეთი, რომ მათს ხალხზე მას ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდა და მეორედ ენ. ხე თავის დედის გვამის დაკრძალვაზე როდესაც მან მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა. ისეთი აღუთოვანებით ლაპარაკობდა, რომ ყველანი განცვიფრებაში მოვლით, უფრო სიტყვის შინაარსის გამო, რომელიც სრულიად დაუშვებელი იყო მაშინდელი სასტიკი რეჟიმის დროს. ჩემი ნაცნობობის დროს ალექსანდრე ყაზბეგი წარმოადგენდა ნამდვილ პროლეტარს, მას აღარც სახლი ჰქონდა (მის ბიძაშვილს შეესყიდნა), არც მამულები და არც სხვა რაიმე ნივთიერი შეძლება. იმ დროს ქართულ ტრუპაში მსახიობად მსახურებდა, ასრულებდა მეორე ხარისხოვან როლებს, ამით და თავისი ნაწერებით ირჩენდა თავს.



ბაგუბი თბილისში ნახ. შ. მამალაძის.

1885—1889 წლებში მე ვმსახურობდი მთაში (ხე-მთიულეთში) და მქონდა შემთხვევა ჰირადათ ორჯელ მე-ნახა სტეფან-წმიდაში ა. ყაზბეგი; ერთხელ მაშინ, როდ-

*) რედაქცია საბოლოოებით ბეჭდავს ყოველგვარ მასალებს ალ. ყაზბეგის საკითხის გარშემო და სთხოვს მის მგობრებს და ნაცნობებს თავისი პირადი მოგონებანი და შეხვედრებანი, ა. ყაზბეგზე დასაბეჭდათ მოგვეყოლოდნ. რედაქციას უკვე მიღებული აქვს ლონის-ტიბა მრავალი ახალი და სეროისული მასალებს გამოსაქვეყნებლად. რ ე დ ა ქ ც ი ა.

ალექსანდრე ყაზბეგს თავის საშობლო სოფ. სტეფანწმინდაში სრულებით არ იცნობდნენ, როგორც მწერალს და მასზე როგორც მოქალაქეზე ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ, რაც აისნება მაშინდელი ატმოსფერით, რომელიც სუფევდა. მოხვევებს უკვირდათ, რომ საწილო ყაზბეგი, ეს ნასწავლი კაცი, დიდი მოხელის და მდიდარი კაცის შვილი, თავის მამის კვალს არ დაადგა, ითავირობის მოხელის ადგილი არ დაიკიარა, ცხვარში მეცხვარედ წაივდა, სიმდიდრე ხელიდან გაუშვა და ბოჯანო



კადავად ვადაიქცა. ის რაც სხვანი ღირსებდა ჩუთუგლი-
დნენ ყაზბეგს, რომ უკანონოდ მაისი შეძენილ ქონებაზე
ხელი აიღო, ამაზე იმის თანამემამულენი აყვედრიდნენ
მას ამ სიტყვებით: „სანდრო ფუქსავატი კაცია, მაისის
ქონება-სიმდიდრე ვაფლანგა, ვადაყარაო“.

რაც შეეხება დიმიტრი ყაზბეგს, ჩემი ყოფნის დროს
მთაში, მე არა ვითარებე ცნობა არა მიქვს ვაგებულის.
შეიძლება იგი დიდათ განვითარებული პირი ყოფილი-
ყოს, მაგრამ იმას ქართულ ლიტერატურაში კვალი არ
დაუტოვებია, და სრულიად მიუღებელია ის ახარი ვითომც
ყაზბეგს მისი ლიტერატურული შრომა მიეთვისებინოს.
ალექსანდრე ყაზბეგი ჩვენგან ისე ძლიერ დაშორებული
არ არის დროთი როგორც რუსთაველი, რომ იმ ს პი-
როვნების გარეშეში შექმნილი იყოს ლეგენდები. მისი იმ-
ხანაგები—მეგობრები კიდევ ცოცხლებია არიან და იმედი
უნდა ვიკონიოთ, რომ ივინი ალექსანდრე ყაზბეგის სა-
ხელს ცილის წამებისაგან დაიხსნან.

აგრეთვე დასაშვებია არ არის ალექსანდრე ყაზბეგს
უხეზობა დღევანდით, რადგანაც ამაზე არავითარი სა-
ბუთი არა გვაქვს და არც მოიძებნება.

მავალით ბევრი გვაქვს, რომ მრავალი მწერალი
თავისი პირველივე ნაწერით დამჯდარი დახელოვნებული
მწერლის სახელით გამოსულა სამწერლო ასპარეზზე.
ალექსანდრე ყაზბეგმაც პირველწივე თავისი გამოსვლით
ნიჭიერი მწერლის სახელი დაიმსახურა. ამ გარემოება
შური აღძრა ზოგიერთ ქართველ მწერალთა შორის. მე
კარგათ მახსოვს, რომ ამ 40 წლის წინეთ ერთმა ქარ-
თველმა მწერალმა, რომლის სახელი არა მინდა დავასა-
ხელო და რომელიც ცოცხალი აღარ არის, შურისძიებით
უხეზობა დასწამა ყაზბეგს, რათა მისდამი სიყვარული
—სიმპათია ახალგაზღობისა განეწებინა და სამწუხარ-
ოდ 40 წლის შემდეგ ამ ცილის წამებას ისევ იმე-
რებენ.

ალექსანდრე გულისაშვილი.

ვაჰან ტერიანი.

ვაჰან ტერიანი დ. 1885 წ. იანვრის 28-ს, ს. ვან-
დაში, ახალქალაქიდან 28 ვერსის მანძილზე.

პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ვანდაში, შემ-
დეგ ახალ-ქალაქში, სადაც სამოქალაქო სკოლა დაასრულა.
შემდეგ აქისა, მის მშობლებს სურდათ ვადასწავნიათ
ტფილისის გიმნაზიაში, მაგრამ სურვილი ვერ შეუსრულ-
დათ.

1899 წ. მისმა მამამ მიღწეულმა ტერ-სუქიასამ წა-
იყვანა მოსკოვში. აქ გამოიღვის შედეგ მიღებულ იქნა
ლაზარინის აკადემიაში.

აქ აკადემიკოსი ნ. მარის ხელმძღვანელობით სწავ-
ლობს არაბულს, სპარსულს და აღმოსავლეთის სხვა ენებს.

ამ ხანებში იგი სწავლობს ქართულს და ეცნობა
შოთა რუსთაველს, რომლის წინასიტყვაობა 1914—17
წლებში სომხურადაც გიდათარგმნა.

პეტერბურგიდან ამა. ს. შაუმიანთან ერთად ტერი-
ანი ემზადებოდა ამირ-კავკასიაში წამოსასკლვლად, დამ-
ფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მასაღებად.

ამავე ხანებში იგი სწერს პროზურს „რას ეუბნება
ამხ. ლენინი სოფლებს“. მაგრამ წამოსვლა ვერ მოუ-
ხერხდა კავკასიაში და ამა. ს. ლუკაშინთან ერთად ხდება
მონაწილე ჯერ იყლის ამებების მერე ოქტომბერის დი-
დი რევოლუციის.

გასაბუქეაის დროიდან თანამშრომლობს სტალინთან
და აწესრიგებს სომეხთა საქმეებს.

1920 წ. იანვრის 7-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის
შემდეგ გარდაიცვალა ორენბურგში.

სომხურს ახალ მწერლობაში ვაჰან ტერიანი ერთი
უპირველეს ფიგურათაგანია. სულ მოკლე ხანში მიიქცია
ლიდი ყურადღება და თავის ნიჭით დაიპყრო სომხური
მწერლობა.

ახალი მოტივებით, ახალი ფორმით და ხელოვნ-
ებით შექმნა ნამდვილი სკოლა, რომელსაც მიჰყვა ახლად
დაწყობი პოეტების ერთი ჯგუფი. სთარგმნა ფრანგი და
რუსი სიმბოლისტიები.

ტერიანი უკანასკნელ წლებში კომუნისტი იყო თა-
ვის მსოფლი-მხედველობით, მხოლოდ პროლეტარული პო-
ეტი კი არ ყოფილა.

პროლეტარი პოეტი უნდა გამოვიდეს პროლეტა-
რული ანალი კულტურის წილიდან, კაცობრიობის სოცი-
ალური ცხოვრების ვადსხვაფერებული შრომის ქარიშხა-
ლიდან, შერათებული პროლეტარულ ქვეყანასთან თავის
ცხოვრების ყოველის ძაფებით. ტერიანი კი ასეთ ეპო-
ქას წინ უსწრებდა და მისი სულიერი განცდაც გან-
სხვავდებოდა.

ტერიანის ქნარმა სომხის ლიტერატურას შესძინა
მსოფლიო მწუხარებას და სედვის პოეზია: მისმა ქნარმა
ააუღერა სამშობლო სინამდვილის და საერთო კაცო-
ბრიობის მოტივები.

ტერიანი ნამდვილი ლირიკია, მაგრამ მისი ლირი-
კი ღრმა და ამაღლებველი.

ტერიანი ძლიერ ადრე გარდაიცვალა, სულ 35
წლისა, როცა მისი ტალანტი თავის განვითარების ხა-
